თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“

ფრაქციის სხდომის

ოქმი # 2

ქ.თელავი 21. 11. 2018 წ

სხდომას ესწრებიან : ფრაქციის თავმჯდოამრე არჩილ თვალიაშილი, თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ გრემელაშვილი, სხდომის მდივანი : იოსებ პარწიკანაშვილი .

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ
2. მუნიციპალიტეტის სოფლებში დასუფთავების სამსახურს დაემატოს სოფელებში დასუფთავების სამსახურის თანამშრომელბი.
3. მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩასატარებელი კულტურული ღონისძებების შესახებ
4. თელავის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სამუსიკო და სპორტული ა.ი.პ-ების კვარტალური ანგარიშის შესახებ.

მოისმინეს : თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვეს: - იოსებ პარწიკანაშვილი -წარმოდგენილ პროექტში სრულად არ არის დაცული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის ფორმატი და საჭიროა მისი „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების დებულებასთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა;

გადაწყვიტეს : ეთხოვოს თელავის მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას ფრაქციის მიერ გამოთქმული შენიშვნები.

მოისმინეს; იოსებ პარწიკანაშვილი ს ინიციატივით მუნიციპალიტეტის სოფლებში დასუფთავების სამსახურს დაემატოს სოფელებში დასუფთავების სამსახურის თანამშრომელბი.

აზრი გამოთქვეს: ი პარწიკანაშვილი - წარმოდგენილი ინიციატივა ეხება სოფლებში არსებული სასაფლაოების, სკვერების, ცენტრალური და საუბნო

გზების, ასევე სპორტული მოედნების დასუფთავებას . მიმაჩნია, რომ საწყისი ეტაპისათვის მაგალითად სანიორე ჯუღაანში იყოს დასაქმებული ერთი დასუფთავების თანამშრომელი, ხოლო ვანთაშიც ერთი და აკურაშიც ერთი. საერთო ჯამში აღნიშნული ინიციატივის შესრულებისთვის დაგვჭირდება 25 ადამინის დასაქმება, რომელთა თვიური ანაზღაურება უნდა შეადგენდეს 500 ლარს. რაც წელიწადში ბიუჯეტს დაუჯდება 150 000 ლარი. აღნიშნული ინიციატივის მიზანი არის სოფლებში არსებული ანტისანიტარული მდგომარეობის აღმოფხვრა, რაც ასევე ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შეუქმნის მომავალ თაობებს.

გადაწყვიტეს : ფრაქციის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე მიესალმნენ იოსებ პარწიკანაშვილის ინიციატივას და სრული მხარდაჭერა გამოთქვეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით .

მოისმინეს; მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩასატარებელი კულტურული ღონისძებების შესახებ

აზრი გამოთქვეს: იოსებ პარწიკანაშვიილის ინიციატივით 2019 წლისთვის ბიუჯეტში ასახული უნდა იყოს დეტალურად ჩაშლილი_მუნიციპალიტეტის სოფლებში ჩასატარებელი კულტურულ ღონისძიებათა ნუსხა. კერძოდ როგორც სოფელ აკურა-ვანთის მაჟორიტარმა დეპუტატმა აღნიშნა 2018 წელს სოფელ აკურის მოსახლეობის მოთხოვნით ჩატარებულმა კონცერტმა დიდი მოწონება დაიმსახურა, ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. ამიტომ მაჟორიტარი მიიჩნევს, რომ საჭიროა ასეთი ღონისძიებები პერმანენტულად იმართებოდეს მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში. აღნიშნული პროექტით დაცული იქნება მუნიციპალიტეტის ქალაქსა და სოფლებს შორის თანაბრობის პრინციპიც.

გადაწყვიტეს : მიხეილ გრემელაშვილი დაეთანხმა იოსებ პარწიკანაშვილს და აღნიშნა, რომ სოფლებში დროული და აუცილებელია ასეთი პროექტის წამოწყება. სოფლის მოსახლეობის მხრიდან ამ ინიციატივას დიდი მხარდაჭერა ექნება .,

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, სამუსიკო და სპორტული აიპების დაევალოთ კვარტალური ანგარიშის წარდგენა მერიისა და საკრებულოს წინაშე

აზრი გამოთქვეს: იოსებ პარწიკანაშილი - სამწუხაროდ 2019 წლის ბიუჯეტში არ არსებობს ის პროგრამული ნაწილი სადაც ჩანს მაგალითად რომელ სამუსიკო სკოლაში რამდენი ბავშვი მეცადინეობს, ასევე ჩვენ წლის დასაწყისში

ვაფინანსებთ აღნიშნულ აიპებს. თუმცა არ გვაქვს სრული ინფორმაცია მათი მუშაობის შედეგისა და მიზნის მიღწევის შესახებ. შესაბამისად სავალდებულოდ ვთვლი რომ ზემოთ ჩამოთვლილმა აიპებმა კვარტალური ანგარიშები წარადგინოს წარმომადგენლობით ორგანოში

გადაწყვიტეს :

აღნიშნულ ინიციატივას ერთობლივად მხარი დაუჭირეს ფრაქციის წევრებმა. და მიიჩნიეს, რომ იურიდიული კომიისიამ უნდა შეიმუშაოს შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტს რომელიც აიპების ანგარიშვალდებულებას შეიმუშავებს.

თავმჯდომარე არჩილ თვალიაშვილი

წევრი მიხეილ გრემელაშვილი

წევრი იოსებ პარწიკანაშვილი